# მანევრებზე





…როზი

…ი, 1929 წ. № 41 (225)
ფასი 10 კაპ.


“ ველიდან

და ორგულებს
გული
გაუსკდესო!
სალამი
წითელ არმიას,
მშრომელთ
დამცველებსო!
მშრომელნი კი
არმიელებს
სალამს აძლევენო.
—ვაშა,
ჩვენს ჯარს!
დიდ ბრძოლებში
თქვენთანა
ვართ ჩვენო"!


ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თავისი ხალხი“

სევასტი გაძვრებაშვილი გაიძვერა, თაღლითი და მოქნილი პიროვნება იყო, თუმცა ამ თვისებებს ის არ ამჟღავნებდა. პირიქით: ის ყველასთან თავაზიანობას და თავმდაბლობას იჩენდა.

— ვინ რა იცის, შენ რა კაი ბიჭი ხარ!—ეტყოდა ხშირად მას მისი „გულითადი“ მეგობარი პავლე ჩახრაძე.

სევასტი უპარტიო კაცი იყო, მაგრამ როცა დასჭირდებოდა თავი პარტიულად მოჰქონდა.

— რა უყოთ, რომ მანდატი არ მაქვს, მე უპარტიო კომუნისტი ვარ!—ეუბნებოდა იმათ, რომლებსაც მისი სჯეროდა.

ორი წლის წინათ ის განაგებდა ერთ დიდ საქმეს, რომელიც მან მოხერხებულად გამოხრა, გააძვალტყავა და ისე დაუტოვა თავის მოადგილეს. მას შემდეგ ის დანიშნული იქნა სახელმწიფო ვაჭრობის ერთ-ერთ დაწესებულების გამგეთ (ქალბატონმა პროტექციამ მის „დაწინაურებაში“ აქტიური მონაწილეობა მიიღო).

ახალ საქმეში მუშაობას სევასტი დიდი „რიხით“ შეუდგა.

მიუხედავად ამისა, ამ დაწესებულების საქმე მაინც უკან მიდიოდა. სევასტი კი ყველას წინააღმდეგს უმტკიცებდა და ზოგიერთ დეფექტებს ობიექტიური პირობებით ხსნიდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ უკანასკნელ დრომდის სახელმწიფო საკონტროლო ორგანოებს—განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ხსენებულ დაწესებულებისათვის.

მაგრამ, ნათქვამია: „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო“. ერთ მშვენიერ დღეს (ცხადია სევასტისათვის ეს დღე მშვენიერი არ იქნებოდა) „მსუბუქმა კავალერიამ“ სევასტის მყუდროება დაარღვია.

„მსუბუქ კავალერიას“ მოჰყვა მუშგლეხინის ცვლევა-ძიება. ამავე დროს დაიწყო ამ დაწესებულების წმენდაც და სევასტის საქმე „ჭადრაკულათ“ შეიქნა.

— ფიქრი ნუ გაქვს, საქმეს გამოვაჭახრაკებთ: წმენდაზე „ჩვენს ხალხს“ დავრაზმავთ და შენ „პოდიომში“ აგწევთო“——ანუგეშებდა სევასტის მისი მეგობარი პავლე ჩახრაძე, რომელიც სევასტის ერთი „პასუხისმგებელი“ თანამშრომელთაგანი იყო.

სევასტის სჯეროდა, რომ თავისი „ხალხი“ წმენდის დროს მას დაიცავდა. სევასტის, ჭკვიან კაცს ეძახდენ და, მართლაც, მან კარგად იცოდა საზოგადოებრივ აზრის მნიშვნელობა. ამიტომ მან დაწესებულებაში თავის ხალხს მოუყარა თავი, რომლებიც ყველგან და ყოველთვის სევასტის ქება - დიდებაში იყვენ.

— ჩვენი გამგე ოქრო კაცია—იტყოდა ერთი და სხვები დაემოწმებოდენ.




## წმენდის შემდეგ

მოქალაქე: — რაშია საქმე, რომ დაწესებულებაში არავინ არის?!.

დარაჯი: — საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიამ მოხსნა ყველანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტკბილი მოგონება



ხუცესი: — ხმაზე ვიცანი ჩემი ეკლესიის ზარი... საწყალი! ისევ ძველებურად რეკს... თქვენი ჭირიმე, ერთხანს კიდევ რეკეთ!

— ჩვენი გამგე საკომისარო კაცია. — იტყოდა მეორე და ყველა დაუდასტურებდა.

ასე ქმნიდენ სევასტის გარშემო საზოგადოებრივ აზრს მისი ერთგული თანამშრომლები, რომლებიც ქალებთან არშიყობის მეტს დაწესებულებაში არაფერს აკეთებდენ.

მაგრამ დადგა მათი განკითხვის დღეც: დაწესებულების წმენდა დაიწყო.

პირველად გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ გააცნო დამსწრე მუშა-მოსამსახურეებს საბჭოთა აპარატების წმენდის მიზანი და დანიშნულება.

თავმჯდომარის შემდეგ „გრძნობიარე“ სიტყვა წარმოსთქვა სევასტიმ, რომელმაც მოუწოდა ყველას — დახმარება გაეწიათ კომისიისათვის დაწესებულების წმენდის საქმეში.

რამდენიმე მოსამსახურის წმენდაში გატარების შემდეგ, კომისიამ გამოიძახა თვით სევასტი, რომლის გამოჩენამ დამსწრეთა ერთ ნაწილში გამოიწვია ტაშის ცემა.

სევასტიმ დიდხანს ილაპარაკა თავის წარსულზე. მისი სიტყვით ის იყო პირველი რევოლიუციონერი, პირველი კომუნისტი, საუკეთესო სპეცი, საბჭოთა წყობილების ერთგული დამცველი, უანგარო და სპეტაკი ადამიანი.

—სიტყვა ვის სურს?—იკითხა თავმჯდომარემ, როცა სევასტიმ დაასრულა თავისი სიტყვა.

— მე!—გაისმა პავლეს ხმა, რომელიც წამოდგა და სევასტი ქება-დიდებით „ცამდის აიყვანა“.

— სევასტის მეოხებით ჩვენი დაწესებულება წინ მიდის.—დაასრულა პავლემ თავისი სიტყვა.

— სტყუი, ჩვენი დაწესებულება მაგან დაღუპა!—წამოიძახა ადგილიდან კომკავშირელმა ვანომ.

ამის შემდეგ კიდევ გამოვიდენ, როგორც სევასტის მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით სევასტის იცავდა „თავისი ხალხი“, მათ შორის ყველაზე უფრო თავგამოდებით — საქმეთა მმართველი, ყოფილი თავადი და ოფიცერი — გიგო მავნებაძე.

სევასტის შემდეგ წმენდა გაიარეს მისმა მომხრეებმა, რომელთა დასაცავად სევასტი არ შურავდა თავის ძალ-ღონეს და თვითეულ მათგანს იდეალურ პიროვნებათ სახავდა.

— შეხედე, შეხედე როგორ თავგამოდებით იცავენ ერთმანეთს!—წარმოსთქვა ერთმა დამსწრეთაგანმა.

— ხომ გაგიგონია: „ხელი ხელსა ბანსო“... „თავისი ხალხია“. — შენიშნა მეორემ.

წმენდა დასრულდა.

ხსენებული დაწესებულება გაიწმინდა მავნე ელემენტებისაგან, რომელშიაც მოყვენ: სევასტი, პავლე, გიგო და ყველა ისინი, რომლებსაც სევასტი „თავის ხალხათ“ თვლიდა.

წმენდის შედეგით მუშა - მოსამსახურეთა უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა.

სევასტის ვერ უშველა „თავისმა ხალხმა“, მაგრამ ვერც სევასტიმ უშველა „თავის ხალხს“.

ნიანგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია ბარათი ლუკას

(პასუხად ერთი სოფლელი კაცის წერილზე)

ძვირფასო მეგობარო ლუკა.
ღმერთმა შეგარგოს ალალი ლუკმა,
სანამ მადა კი გექნება ჭამისა!
უწინარეს ამისა,
მინდა მოგწერო, რომ,
თუ დღესაც აღარ ბატონობს შრომა,
მაშ, როდის და იყო იგი ბატონი
და ქვეყნის განგებიანი პატრონი?
როდის იყო მუშა-კაცი, შენც სთქვი,
ყურადღების ცენტრში?;
ნიკოლოზის ხანაში?,
როცა ქარხანაში
მეფობდა დესიატნიკი,
სოფელს მართავდა: ურიადნიკი,
ბოქაული, ჩაფარი და მამასახლისი;
გლეხს ხელში ეჭირა კავ-სახნისი
ან და მხოლოთ ტიტველი კავი,
ჰქონდა წაკაპიწებული მკლავი,
ფეხებზეც შარვალი ამოკალთული
და მოჰყავდა პური ქართული,
დასავლეთ საქართველოში კიდევ—მჭადი
და წლიდან წლამდი
ეწეოდა უდიერ შრომას,
მაგრამ მუცლის გამოძღომას
იგი მაინც ვერ ახერხებდა!
საქმეს გადასახადი აფერხებდა:
უყვარდა სოფლის ხუცესს ჭამა,
ამიტომ მიართვი იმას „დრამა!"
ხარბი იყო მამასახლისის გული,
ამიტომ უყაჭე მას „ბეჭდის ფული"!
საზრუნავ-სავალალო იყო მწერლის სადილ-ვახშამი,
ამიტომ უჩიტე მას მჯიღში ქრთამი!
და თუ ამის შემდეგ ისიც „ხათრს დაგდობს",
უთუოდ შეგიდგენს რაიმე „პადლოგს",
რომ ციმბირიც კი აქეთ დაგრჩეს,
მოაკლდეს მუშა-ხელი შენს სახლში სარჩენს!..
შენვე უნდა გეხადა კიდევ „ფოშტის ფული",
ეს საერთოდ სახელმწიფოსთვის ხარკად განზრახული,
ხოლო ადგილობრივი ბეგარა,
თითქოს იმათი რამე გებარა,
მუდამ თანა გდევდა კვალში,
ბეწვსაც კი არ გარჩენდენ თვალში:
გაჰქონდათ გადასახადის საბადლოდ საწინდარი,
ნივთები, ოჯახში საჭირო და მოსახმარი...
იყო ეს: უჩიტლის ფული,
თუ მწერლის ჯამაგირად განზრახული,
თუ სხვა რაიმე ხარჯი საერთგზობო,
თუ ყოველწლიური ბეგარა—„საერობო"...
ერობა კი მაინც მუდამ გქონდა სანატრელი!
შენს ზურგზე ნავარდობდა ჩაფარის მათრახი, ჭრელი
ან კიდევ ყაძახის ნაგაიკა,
თავში რომ ჰქონდა მოშლილი გაიკა,
დაძრწოდა, როგორც აფთარი ამ მშიერი მგელი,
იყო უბრალო ხალხის სისხლის მღვრელი,
რადგან გარეშე მტერთან იგი ველარ იჩენდა გმირობას,
ვერ ამართლებდა სტრატეგიის ვერც ერთ პირობას!
მაგალითად: რუსეთ-იაპონიის ომში,
თითქ რომ მოიწვა ბრინჯის ცხელ ღომში,
დაბრუნდა უკან გამხეცებული,
რათა დაეფარა მეფე მირონ-ცხებული,
მამაკაცებს ძლეტდა, ხოლო დედაკაცებს ნამუსს ხდიდა;
საერთოდ კი—უდანაშაულო ხალხის სისხლს ღვრიდა...
ქალაქ-სოფლებს არბევდა და სწვავდა...
ერთი სიტყვით, ძველი დროის ბარბაროსს ჰგავდა!
და ამიტომ ათას ცხრაას ხუთ წელში
ჩვენც ავიღეთ იარაღი ხელში!
შენც ხომ მაშინ ჩვენთან იყავი.
სოციალისტად რომ მოგქონდა თავი?
სოციალიზმი, ხომ იცი, საქმეა მუშათა კლასის!
ამ საქმეში წინ მიუძღვის მშრომელ გლეხობას ის.
დღეს გლეხობა დაყოფილია სამ ფენად.
ახლა შენა სთქვი, თუ ამ სამიდგან რომელს იჩნევ შენად?
ღარიბ გლეხობას,
რომელიც სოციალიზმს უკვე მდგომარეობით ემხრობა?
გლეხობას, საშუალოს,
რომელმაც, ამ საკითხს ირგვლივ რამდენიც არ უნდა უტრიალოს,
ბოლოს ხომ მაინც უნდა გაჰყვეს მუშათა კლასს?
აქ კოლექტიურად შრომის მოწყობაც შველის მას!
კოოპერაციაც წინ მიაქანებს
და საბჭოთა მეურნეობაც მასვე უდგამს ყანებს!..
ერთი სიტყვით, გზები დაცდილია
და სოციალიზმიც თითქმის უკვე ნაგემები ხილია!
შენ ამ ხილთან როგორ გაქვს საქმე?
უნდა შევნიშნო აქ მე,
რომ ყოველივე ეს
მაინცა და მაინც დიდ პირად გამოსარჩენს შეიძლება არ იძლეოდეს დღეს,
მაგრამ სამერმისოდ, შენც მოგეხსენება,
რომ დღევანდელი სოციალისტური შენება,
ნაღდი და უტყუარია!
რაა მასთან საკუთარი სახლი ანუ კარია,
რომელიც—სულ ერთია:—მაინც უნდა დანგრეულიყო,
კაპიტალისტური წყობილება რომც გაგრძელებულიყო?!
მოგეხსენება: კონცენტრაცია, პროლეტარიზაცია...
ამაში მარქსი უტყუარი კაცია,
ხოლო ლენინმა კაპიტალიზმს უკვე აუგო წესი მთელი!
ლენინიზმიც ამისა უტყუარი გზა და ხიდია!
ამიტომ არის, ღარიბი და საშუალო გლეხებიც რომ ამ გზით მიდიან,
ესე იგი, მიჰყვებიან მუშათა კლასს!...
და მე გირჩევ, მეგობარო ლუკა რომ შენც გაჰყვე მას!
ვერ დასდებ შენ ამ გზას რაიმე წუნს!
დღევანდელ მძიმე პირობებზე წუწუნს
კი, სჯობია. შენც გაშალო ღონივრად ხელი!
სუმრობა საქმე ხომ არ არის? სოციალიზმია, ძმავ. ასაშენებელი!
ისტორიამ ეს ჩვენ გვარგუნა წილად.
ვეწევით ჭაპანს ბეჯითად, მაგრამ მაინც ფრთხილად,
რათა არ შევრცხვეთ ისტორიის წინაშე!..
ამ საერთო საქმესთან რა ვართ მე და შენ,
რომ სახეში მიიღონ ჩვენი სახელი ან ჯიში,
და ჩვენს პირად ინტერესებს გაუწიონ რაიმე ანგარიში?!.

Б.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ოჯახი“ დაწესებულებაში




დარაჯი: — არ შეიძლება შესვლა. ვერა ხედავთ წარწერას?!
— მე არა ვარ გარეშე. აქ ყველა ჩვენები მსახურო ბენ — გამგის ნათესავები.

# მოლოდინში



**თავისიანები** (კომენდანტს): — **როგორ არის საქმე? არ კვდება?**
**— ამდენი ხანია ველოდები და მაინც ცოცხალია!**

## სცენა ტელეფონთან

**მარანი**

ქალო... ქალიშვილო... არ გესმის. კაი დედა ნუ მოგიკვდება, ხმა გამეცი. რა მინდა და შენთან ჭუკჭუკი, ჩემო ოლია, ერთი ეს მითხარი—ეპოში რავაა საქმეები? ბაკალებს ყველაას! ბუღალტერი რას შვება? უბნელდება თვალებიი? მაგას კი არა სხვებსაც? ასე იცის წმენდამ!

ოლია, კაი გამახსენდა, ერთი ეს მითხარი: რაფერ იყო, რომ დეითვერით შენ და შენი ამფსონები და გლეხკომში მიანგრ-მოანგრიეთ ყველაფერი?.. ა?.., რაიო? სსს! გავჩუმდე?!? არაფერია, არავინ ყურობს. ქე გავჩუმდები, მარა ხომ იცი, გოუგებარი არაფერი დარჩება.

აბა ალმასკომს შემიერთე...

საიდან? ალმასკომია? თედორეს ვახლავარ. ხომ ხარ შანცრიანად? ა?..

თედო, ამ თქვენს ფურნეზე ყველა საყვედურობს. არ იქნა და ვერ მოაწესრიგეთ პურის გაცემის საქმე... აგერ გრძელი რიგია, მარო კი იალონზე ორ გორა პურს მიაქარჩალებს შინ ურიგოთ. ეგი სადაური კანონია?

სამკითხველოში ნადიას თურმე ყოველ დღე ბუქნაობა აქვს გამართული, თუ სადმე რამე სასიხარულო მოხდება, მაყარიჩს სამკითხველოში იხდიან თურმე. ა?... არაფერი გაგიგია? ჰოდა, ახლა ხომ იცი — მაგასაც უნდა ჩარასკაზება. შენი მეგვარე კია, მარა არაფერია. გვარი გვერდზე იყოს.

თედორე, ერთი შენ გენაცვალე, მაქანე ახლო არიან ლუბა და ცუციე მევიდენ ტელეფონთან, დამიძახე. შენ კი მაქანე გლეხები გიცდიან და ნუ გააჩერებ, თუ ძმა ხარ...

ა?.. წკრრრ... რომელი ლუბა? ა?... რა ამბავია, ბოშო? რა გაჩხუბებენ? ერთმა მელაპარაკე ჯერ.... ა?... რომელი ცუცია?.. რავა ცხოვრობთ? ატარებთ დროს ოხრათ! რადიო რას შვრება მაქანე? ხლიჩინობს ბატივიით. მერე და ტეხნიკოსი არაა მაქანეე?

წკრრრ... წკრრრ.. ალექსანდრე „ზრასტი“, რავა ხარ ბიჭო? ბიჭო, შენთან ბევრი მაქვს სათქმელი... შენთან მინდა ერთი ჭიქა ღვინო დავლიო და მაშინ მოგიყვები რამე-რუმეს... მაქანე ჩამოვალ, მარა თქვენ გლეხკომის სასადილოში იმისანე სიბინძურე ყოფილა, რომ ხოლერა შეეყრება კაცს. სამტრედიაში შევიყრებოდით, მარა არც იქაურ სასადილოებშია სისუფთავე... ახლა მეც მეჩქარება და შენც, ისევე როცა მოიცალო ამოდი ჩემთან, ვერ მოიცლი?.: რავა, ბიჭო, ამდენი საქმეები გაქ? კაი აპა, დაგირეკავ. მშვიდობით! **ბრაზუნა.**

## ძმაო ნიკიფორე!

იყავი კარგათ სამივე შენი ცოლით (მეოთხე ხომ არ შეგირთავს?) და ფინიებით (შვილებს არ იყენებენ შენი ცოლები და!). მოსავალი ავილე და კარგა ბლომათაც. კონტრაქტაციაც მქონდა ნათესებზე.

იწერები — განუწყვეტელ მუშაობაზე გადავედითო. შენი იმედი მაინც არ მაქვს რომ იმუშავებ, რადგანაც თავიდანვე ზარმაცი იყავი. კვირა აღარ არისო, რომ ჩივი, ექვსი დასვენება აღარ გეყოფა თვეში?

პარტიიდან გამოურიცხავხარ, გავიგე და კარგიც უქნიათ. რა გინდა შენ პარტიაში? იდეა შენ არ გაქვს, პრინციპი და უბედურებია. იმედია აპარატიდანაც მოგხსნიან, როგორც ბიუროკრატს. გახსოვს რამდენი აწვალე ჩვენი სოფელი წყაროს წყალის გამოყვანისათვის?

რაც შეეხება ფეხზე ვაჭრობას. შეგიძლია დაიწყო, მაგრამ ჩემგან და ჩემი მეზობლებისაგან ნურაფერს ელი. რაც ზედმეტი მოგვივიდა, წითელ ბეღელს ჩავაბარეთ, კონტრაქტაციის ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვისა და წესის მიხედვით.

მშვიდობით, გისურვებ უმტკივნეულოთ გამოჩისტვას აპარატიდანაც.

შენი მეზობელი, კომუნის წევრი **ნიტიფო.**

დედანთან სწორია: **ბუზ-ბუზ.**

# „რეკლამა“

ქუთაისში სავაჭროების ვიტრინებში გამოფენილია
ისეთი საქონელი, რომელიც შიგ არ მოიპოვება...
გაზეთებიდან.



ვიტრინის წინ



შიგნით




ხუმრობის ხასიათზე არა ვარ, მე აქ ვსწერ იმას, რაც ვნახე და გავიგონე.

ეგებ ვინმემ კიდეც მისაყვედუროს:

— ცალი (და ისიც მარცხენა) თვალის გადავლებით არა, ორივე თვალითაც ვერ დაინახავდი ყველაფერს! მაგრამ ცალი თვალით მიზანი უფრო ამოიღება.

## ოზურგეთი

როგორც ყველა ჩვენი ქალაქები, ოზურგეთიც იზრდება და ფართოვდება.

ამის ნიმუში ის არის, რომ, როგორც იქნა, ქალაქს ეღირსება აბანო, რომელიც შენდება (და ალბად დამთავრდება).

სანიტარიის დაცვით ოზურგეთი თუ წინ გაუსწრებს, თორემ არ ჩამორჩება მისებრ სხვა პატარა ქალაქებს.

— როგორია ქალაქის სანიტარული მდგომარეობა? — ვკითხე სამაზრო აღმასკომის ერთ-ერთ მესვეურს.

— ჩინებული! ყველაზე უფრო ამ დარგში გვაქვს მიღწევები.

სწორედ ამ დროს, ბაზარში თვალი მოვკარი ღორების ჯგუფს.

— ღორების გამოჩენის გამო უხერხულობა რომ არ ეგრძნო ჩემს მოსაუბრეს ჩემს წინაშე, მე გვერდი ავუხვიე ღორების მიმართულებას, მაგრამ მან მომაქანა და ღორებზე მიმითითა:

— ხედავთ იმ დასუქებულ ღორებს?

— კი, ვხედავ... ალბად უეცრად შემოიჭრენ ქალაქში...

— თქვენ არ მომიკვდე. უეცრად კი არა, ძლივს შევიჩვიეთ...

— როგორ! აკი ამბობდით, რომ მუშაობაში ჩვენ სანიტკომისიას ვერავინ შეედრებაო?-

— და ვერც შეედრება- ამათზე კარგათ რომელი სანიტკომისია გაასუფთავებს ქალაქს? ხედავთ, დუქნების წინ ჩამომდინარე წყალში რამდენი ნაგავია და როგორ შეექცევიან- ყოველივე უსუფთაობას წყალში ჰყრიან მედუქნეები. წყალი არც ისე დიდია, რომ ყველაფრის წაღება შეეძლოს. რაც დიდი ნაგავია, ღორები მიირთმევენ, ჩიჩქნიან და ასე, ამგვარად, ასუფთავებენ ქალაქს. სხვათა შორის ერთ ქართველ პოეტს, რომელიც ეხლა არ მაგონდება, ასეთი ლექსის შეთხზვა აქვს განზრახული ოზურგეთის სისუფთავის შესახებ:

**დუქნებს ჩაუდის წინ რუ პატარა,**
**ყველამ ნაგავი შიგ რომ ჩაჰყარა...**
**ისევ-და ღორებს უშველოს ღმერთმა,**
[illegible]

ლექსის შემდეგ ჩემმა მოსაუბრემ ისევ განაგრძო:

— ჰო-და იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენ ისე თავგამოდებითა და მთელი თავისი ძალღონით ვიცავთ ქალაქში სისუფთავეს, რომ...

— კი, მაგრამ,—გავაწყვეტინე ლაპარაკი,—ყოველ შენობების უკან რომ უსუფთაობისაგან საზარელი სუნია, ჩუ თუ არა გაქვთ ქალაქში რამდენიმე საერთო საპირფარეშო-

— რასა ბრძანებთ- რამდენიმე კი არა, ერთი გვქონდა და ისიც ავიღეთ... უფრო სწორად რომ ვსთქვათ,—აგვაღებინეს, რადგან წყლის პირად, სადაც საპირფარეშო იყო, საცხოვრებლად დადგა ერთი ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკი და მან წინადადება შემოიტანა: **ქალაქში სისუფთავის დაცვის მიზნით აღებულ უნდა იქნას საპირფარეშო, რადგან ასეთი თავისთავად უსუფთაობაა**"... და მართლაც სიმართლეა ეს. ამიტომ მთელი ოზურგეთი რომ დაიაროთ, თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ საერთო საპირფარეშოს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში არც ერთი საპირფარეშო არ იქნება ქალაქში და ღორის ჯოგების გამრავლებით ჩვენ შევსძლებთ ოზურგეთში იდეალურ სისუფთავის დამყარებას.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, აღსრულდა დიდი ხნის ლოდინი: მოვიდა კოკისპირული წვიმა.

— გადავიყუდროთ აქვე!—მირჩია ჩემმა თანამოსაუბრემ და — შევედით ერთ ყოფილ სავაჭროს შენობაში.

— აქ „ეპო"-ს მმართველობა არის!—მითხრა და შემიძღვა უკანა ოთახში.

ბუხრიდან ისე ჩამოდიოდა წვიმა — გეგონებოდათ —საწვიმარი მილიაო.

— აბა, ბიჭებო, მარდათ, თორემ დაგვახრჩობს აქ დამდგარი ტბა!—ეუბნებოდენ ქრისტაფორე და ალექსი (გამგეობის წევრებია) მოსამსახურეებს, რომლებიც ტაშტებითა და ვედროებით ებრძოდენ ჭერიდან ჩამომდინარე წვიმას.

ტომრებს მობილიზაცია უყვეს და მათგან გააკეთეს ყარებიდან შემოსულ ნიაღვარის ასალაგმავათ დამბები.

როცა სასწრაფო ზომების მიღების შემდეგ წარღვნის საფრთხე თავიდან აიცილეს, მიიღეს მოსულები.

— ქრისტაფორე, ერთი წყვილი კალოში რომ არ მომცე, გამისვი დანა კისერში და დამკალი. იცოდე, ფეხს არ მოვიცვლი აქედან და სახლში ჩაგისახლდები. — ეუბნებოდა შუახნის, საკმაოდ ლამაზი ქალი.

— სახლში რომლებიც მყავს იმათი რჩენა მიჭირს და შენ კიდევ მემატები?!

— სულ მთლად რომ შენთვის გქონდეს შემონახული, იგი უნდა დამითმო!

— გაძლევთ სიტყვას, რომ ჩემზე უმალ თქვენ დაგაკმაყოფილებდით.

— ეგებ შენ სულ არ იცვამ კალოშებს და მე შენ გიცადო?!

— ერთჯერ ქე გამომჭიმეს „ტარტაროზში" შენისანების წყალობით. მეტი აღარ მინდა!

— აქ არავინ არის ისეთი, რომ...

— ა, ბატონო, ა! ამას თუ ვუყურეთ, ისე ატრიალებს ენას წისქვილის ქვასავით დილიდან საღამომდე, რომ ერთს არ შეისვენებს! — გაცხარდა ერთი გლეხი და ქალს წინ ჩამოუდგა.

— თქვენ რა გნებავს? — შეეკითხა ქრისტაფორე.

— ყოლიფერი კაი, თქვენი კარგად ყოფნა. ჩვენს სოფელში კოოპერატივი არ არის და უნდა გაგვიხსნა; 15-20 მოსახლე ვართ და ყურადღება უნდა მოგვაქციოთ.

— კაცო, ოცი მოსახლისათვის კოოპერატივი როგორ უნდა გავხსნათ?

— აპა, ჩვენ ხალხი არა ვართ?!

— როგორ არ ხართ, მაგრამ ოცი მოსახლით კოოპერატივს არ შეუძლია არსებობა!

— იცრიალა. წავიდეთ!—მითხრა თანამოსაუბრემ და წამოვედით.

სავაჭროში შევედით. დიდი სავაჭრო იყო, უნივერსალური მაღაზია.

ყველა მოსამსახურე ნაცნობი იყო. უწინ ამათ ცალცალკე ჰქონდათ საკუთარი სავაჭროები. ეხლა კი, ალბად, ერთად ვაჭრობენ.

— აკი ამბობდით, რომ კერძო ვაჭრები თითქმის მოვსპეთო?!—შევეკითხე ჩემს თანამოსაუბრეს.

— და კიდევაც მოვსპეთ. მთელ ოზურგეთში რამდენიმე კერძო ვაჭარი თუა, და იმათსაც ბარგი-ბარხანა მოკრული აქვთ, თორემ სხვებს ვერ ნახავთ.

— მაშ ეს რა არის, რომ ასეთი დიდი სავაჭრო გაუხსნიათ ვაჭრებს?

— თქვენ ცდებით. ეს ჩვენი კოოპერატივია, ხოლო ყოფილი ვაჭრები ნოქრებად არიან. სხვათა შორის უნდა გითხრათ, რომ ყოფილი ვაჭრებისა და ყოფილი მღვდლების ექსპორტი რომ შეიძლებოდეს, ოზურგეთის დაწესებულებებში ესენი იმდენი არიან, რომ შეგვეძლო მსოფლიო მაზრის დაკმაყოფილება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯერ-ჯერობით არ შეიძლება, რადგან კაპიტალისტურ ქვეყნებთან, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მწყრალად ვართ. ამიტომ ამ ვალიუტას თავს ვუყრით დაწესებულებებში და ვინახავთ, რაც შეიძლება, თბილ-თბილ ადგილებს.

## „ექსპრესი"

ვაკის-ჯვარში ვაპირებდი წასვლას.

დაიძრა ოზურგეთიდან ჩვენი ლინეიკა.

თორმეტი მგზავრი ვიჯექით. მეცამეტე მეეტლე იყო.

[illegible]

ფეხმძიმე ქალი იჯდა ჩვენთან. ქმარი თან ახლდა.

საკმარისი იყო—ეტლის თვლები პატარა ქვას მოსდებოდა, რომ ცხენები დადგებოდენ. მამაკაცი მგზავრები ჩამოხტებოდენ და შველოდენ ცხენებს.

ისევ დაიძრებოდა.

ხშირად, როცა ურმები შემოხვდებოდენ, ეტლი უნდა შეჩერებულიყო. ცხენებმა ეს კარგად იცოდენ. გაჩერდებოდენ. შემდეგ კი დაძრა და წასვლა ეზარებოდათ. ეს კი არა, გზის პირად ეზოში სასიმინდეს ქვეშ ცარიელი ურმები დაინახეს და შეჩერდენ.

— დავმქავდით, ბატონო, დავმქავდით!—საყვედურობდენ მგზავრები.

გზის ხუთდღიურს კარგი ნაყოფი გამოუღია. გზები ყველგან გვარიანად არის შეკეთებული.

შუა გზაზე ხრეში ჰყრია. (ახალ დაყრილია). ამიტომ არც ერთი ეტლი მეეტლეს შუა გზაზე არ მიჰყავს. (დატკეპნამდე ძნელია იქ სვლა). გზის კიდურები კი ამის გამო წამხდარა და ცუდი სავლელია. ალაგ-ალაგ ეტლს გადაბრუნებაც კი მოელის.

აგურ-ქვები და ოღრო-ჩოღრო.

ეტლი მირიხინებს და გემივით გვანჯღრევს.

ფეხმძიმე ქალი ყველაზე უფრო სწუხს.

— ჩამიყვანე, თორემ მუცელი მომწყდება. გააჩერებინე!—გადაუჩურჩულა ქალმა ქმარს.

ეტლი გაჩერდა. ჩამოვიდენ ეტლიდან.

ისინი იქ დარჩენ.

ჩვენ წავედით.

— ტყვილათ ვიკეთებთ აბორტს. ვისაც მუცლის მოწყვეტა გვინდა, დავჯდეთ ამ ლინეიკაზე და მეტი არაფერი უნდა. იაფიც არის და უფრო ადვილიც!— იხუმრა ერთმა ქალმა და სხვებმა სიცილით დაუდასტურეს.

ერთი საათის მგზავრობის შემდეგ, როცა ჩვენი ეტლი ერთ-ერთ თავის „სადგურში" ისვენებდა, ჩვენი ყოფილი თანამგზავრები—ფეხმძიმე ქალი და მისი ქმარი—წამოგვეწიენ.

— ეხლა დაბრძანდით. აწ კარგი გზებია. თქვენ გიცდიდით, თორემ ეხლა ცხემლის-ხიდზე ვიქნებოდით!—უთხრა მეეტლემ მათ.

ისინმა, რა თქმა უნდა, უარი განაცხადეს და ნელი სიარულით გზას გაუდგენ.

წავედით.

პატარა წყაროზე ცხენებმა წყალი დალიეს და შემდეგ წასვლა დაეზარათ. ამათ იყო ცემა.

ერთი მგზავრი ჩამოხტა. იქვე ჩახტა ყანაში და ორი მუჭი ბალახი მოიტანა.

ბალახი ერთ კონად ცხენებს წინ „დიშლოზე" მიუკრა. ცხენები წაეპოტინენ ბალახს.

ეტლი დაიძრა.

ცხენები ცდილობენ მისწვდენ ბალახს, მაგრამ ამაოდ.

გარბიან.

ვერ ეწევიან ბალახს.

უმატებენ სიჩქარეს.

მაინც ამაოდ—ბალახი გარბის.

სირბილი ჭენებაში გადადის.

მიჰქრიან.

მგზავრები იცინიან. თანაც ეშინიათ. მეეტლეს სთხოვენ სვლას უკლოს.

მეეტლე ალვირებს სწევს, მაგრამ ცხენები მაინც ბალახისაკენ ილტვიან და მიჰქრიან.

მივედით.

## ცხემლის - ხიდი

მდინარე ნატანები უცბად ისე გადიდებულიყო, რომ ხიდი წაელო.

დარჩა ლინეიკა ცხემლის-ხიდზე, გაღმა ვერ გავიდა.

— ყოველთვის ასეა. არ გვეღირსა ერთი ხეირიანი ბოგირის გაკეთება!—საყვედურს ამბობს ერთი.

— ვინ უნდა გაგვიკეთოს? რატომ არ ვიჩენთ მეტ აქტივობას? გამოვიდეთ მთელი თემი, დავიწყოთ მუშაობა, გავიღოთ ჩვენი წვლილი, ვაჩვენოთ მთავრობას ჩვენი ნაშრომი და უნარი და ნახავ თუ არ დაგვეხმარება და აი ხიდიც ადვილად გაკეთდება. მარა ჩვენ არ ვარგავართ. ლაპარაკი გვიყვარს და სხვა არაფერი!—ამბობს მეორე.

— შენ რომ მასე გაიძახი ახლა, ერთი დღით რომ ვინმემ გამოგიძახოს ხიდის გაკეთებაზე, ან ტყეში გაიპარები სამუშაოთ, ანდა თავს მოიავადმყოფებ! — ჩაერია მესამე.

ცხემლის-ხიდი კარგი დაბა ყოფილა.

დვაბზუს თემის ცენტრია. აქ არის ყოველგვარი სასოფლო დაწესებულებები.

**მიველ, ვნახე ალმასკომი,**
**რამ შესჭამა ალმასკომი?**
**ანწლმა სჭამა ალმასკომი.**

რატომღაც ჩემდაუნებურად ასე გამიელვა თავში, როცა ალმასკომის ორსართულიანი შენობა, ფოსტა და საექიმო პუნქტი დავინახე ბალახ-ბულახებში ჩაფლული.

ეზო შეკავებულია მშვენიერი მესერით.

კაცმა რომ არ იცოდე—ეს ბალახ - ბულახი, მოუვლელობის გამო არის ამოსული, გეგონებათ—ბაღიაო.

აი ამ „ბაღში" (შემოღობილ ეზოში) თავისუფლად დასეირნობენ ღორები.

— რა საჭიროა მესერი, თუ ეზოში ღორები იქნება? ანდა, ეგებ, ეზო იმიტომ არის შემოღობილი, რომ იქიდან ღორები არ გამოვიდენ ქალაში და გზებზე?—ვკითხე [illegible]

— ქალიდან ამოდიან ღორ[...], იქ არ არის შემოღობილი.

— საექიმო პუნქტში ვიკითხე, თუ რატომ არ ასუფთავებენ ეზოს.

— არც ისე ავი მცენარეა ეს მცენარეულობა, როგორც თქვენ გგონიათ. ანწლის არაყი სანთლის არაყს არ ჩამორჩება. გარდა ამისა, ანწლი ძალიან უყვარს თხებს. აქ სხვა ბალახებიც არის, რომლებიც სამკურნალოდ ვარგა. მიუხედავად ამისა ჩვენ არა ერთხელ მივეცით წინადადება ალმასკომს, რომ ეზო გაესუფთავებია, მაგრამ ალმასკომი ყურსაც არ იბერტყავს.

ალმასკომში როცა ვიკითხე, უსუფთაობის შესახებ, პასუხად მივიღე:

— ჩვენ რა ვქნათ, როცა საექიმო პუნქტი და სანიტ-კომისია ხელსაც არ ანძრევს სისუფთავისათვის?-

წვიმა თანდათან მატულობდა.

მდინარე ნატანები დიდდებოდა. ისმოდა ქვების ხმაური წყალს რომ მიჰქონდა.

— წყალი გადაიარს, წაგვლეკავს. წავიდეთ და დამბები ვნახოთ—სთქვა ალმასკომის თავმჯდომარემ და...

წავედით.

სოფელი უჩხობი პირში აქვს მიცემული ნატანებს. პირველად ეს გიჟი მდინარე ამ სოფელს ეცემა. შემდეგ კი... ვინ იცის რამდენ სოფელს წაიღებს. ოზურგეთს გაუვლის და..

ისევ გამიელვა თავში ჩემდაუნებურად:

**მაზრალმასკომო, ნეტავი**
**არ დაგძინოდა ნარზედა;**
**გამოგიქროლებს ეს წყალი,**
**წაგიყვანს შავსა ზღვაზედა.**

სოფელში პანიკა იყო. ხალხი იხიზნებოდა. პირს ზეგნებისაკენ ჰქონდათ.

ვნახეთ დამბები. საწყალი დამბები, რომლებიც ნატანების პირველ იერიშსაც ვერ გაუძლებენ.

— ამ მდგომარეობის ასე დატოვება სასტიკი დანაშაულობაა!—ვუთხარი ალმასკომის თავმჯდომარეს.

— ხუთწლიან გეგმაში მაზრას შეტანილი უნდა ჰქონდეს ამ დამბების საფუძვლიანად გაკეთება.

— კი, მარა თუ ნატანებს ერთ წლიან გეგმაში აქვს შეტანილი აქეთ გადმოვარდნა და ჩვენი წაღება? — იკითხა ერთმა სოფლელმა და ყველას გაგვეცინა.

მეორე დღეს, როცა ცხემლის-ხიდზე ჩამოვედი, ალმასკომის ეზო ისე გაესუფთავებიათ, როგორც ხელის გული.

— გაიგეს, რომ შენ „ტარტაროზი"-ს აგენტი ხარ და იმიტომ გაასუფთავეს!—მითხრა ერთმა ნაცნობმა.

— მომავალ წელიწადს აქ გვინდა გავაშენოთ ბაღი. წელსაც გვინდოდა, მაგრამ ხელი შეგვეშალა. თუ მომავალ წელშიაც გამოივლით აქეთ, აქ მშვენიერი ბაღი დაგხვდებათ!—მითხრეს საექიმო პუნქტში.

ვნახოთ.

**ისელი.**

## „საპატიო მიზეზი“

სამტრედია



— რა დააშავეს, პარმენ, მაგ მო-წაფეებმა, რომ ასე ეპყრობი?!.
— ნერვები აშლილი მაქვს, და მეც არ ვიცი რას ვშვრები.

(კულაშელი).

# კლუბის გამგე

თურმე კაცი რომ დაიბადება უშნო და ულაზათო, ის რამდენიც არ ატრიალო, მაინც არაფერი გამოვა.

პატარაობიდანვე რომ შემეჩვია ეს უბედურება, მისი მოცილება ვერაფრით ვერ შევძელი.

მღვდლისას ვიყავი მოჯამაგირეთ, და ვინ იცის რამდენ სასაცილო სახელებს არ მარქმევდენ: ბლაყუნა, ბლიკვი, ჩანჩურა და სხვ.

ჯარში წამიყვანეს ნიკოლოზის დროს და სულ ვერ ავიშვი წელში, ფეხსაცმელებს მე მაწმენდინებდენ, სადილს მე მათრევინებდენ, ყაზარმას მე მახვეტინებდენ და ფეხისადგილის დასუფთავება, აბა, როგორ ამცილდებოდა.

მერისა, როგორც იქნა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და ცოტა მოვითქვი სული.

— შენ დიდი უბედური კაცი ყოფილხარ და აწი მაინც მოისვენეო! მითხრეს.

ერისხანს მილიციაში დამაყენეს, ლევორვერითა და თოფით შემაიარალეს. მერმე ადგილკომის თავ-რედ წამომჭიმეს: „ეხლა გამოკაცდი, ხალხის თვალში გამოჩნდი, საზოგადოებამ აზრი გამოიცვალოს შენზეო“, რომ იყვნენ შეჩვეული ბლაყუნას დაძახებაზე და თითის დაქნევაზე, მაინც ვერ მოიშალეს.

— შენს საქმეს საშველი არა აქვს, თუ სადმე გამგედ არ დაგნიშნეთ! — მითხრა პროფსაბჭოს თავ-რემ და ერთ მშვენიერ დღეს კლუბის გამგეთ წამომასკუპა. (ხუმრობა ხომ არ არის ასეთი ადგილი ჩემისთანა კაცისათვის!).

ვიფიქრე: რომ კარგად და პირნათლად შევასრულო ჩემი მოვალეობა, საჭიროა დღე და ღამ მუშაობა-მეთქი. წამოვიკაპიწე და დავიწყე იატაკის რეცხა, სკამების დასუფთავება. ერთი კვირის განმავლობაში მუდამ ცოცხი და ჩვარი მეჭირა ხელში.

—:—

ერთ დილით, როცა ცოცხით ხელში ვალაგებდი ოთახს დიდ პორტფელიანი კაცი წამომადგა თავზე.

— ბიჭო, სად არის კლუბის გამგე? —მკითხა მან ბრძანების კილოთი.

— რა გნებავს? — მივუგე მე და ცოცხი და ჩვარი მივაყუდე.

—ის შენი საქმე არაა, რაც მნებავს! — მითხრა ამაყად.

—მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ვუთხარი მე და ცოცხს მოვავლე ხელი.

— ტუტუცო, მე შენ გამგეს გეკითხები! — მიყვირა მან.

— რა გნებავთ? მე ვარ გამგე!

—გეყოფა ხუმრობა, შენს საქმეს მიხედე. მითხრა მან და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

— ჯანაბამდის გზა [illegible]! — ჩავილაპარაკე მე და [illegible] დექი.

—:—

საღამოს, როცა ჩემს კაბინეტში ვიჯექი გამგის სკამზე წამოჭიმული, კვლავ შემოვიდა პორტფელიანი და მორიდებით მომესალმა. მეც ხელი ჩამოვართვი და სკამზე ვანიშნე.

— მე დღესაც ვიყავი აქ, თქვენთან საქმე მქონდა, — სთქვა მან და მაკე ძროხასავით გაბერილ პორტფელს დაუწყო ხსნა. — საქმე შემდეგშია: მეთუთხმეტე პარტყრილობამ, მეშვიდე პროფკავშირთა ყრილობამ, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობამ დაადგინა, რა თქმა უნდა, ნებართვაც მაქვს ცეკადან, მუშგლეხინიდან, მთავლიტიდან, მოწონებულია პროფკავშირებიდან და ერთი სიტყვით ყველა ორგანოებიდან, და თქვენც გევალებათ, შეიძინოთ აი ეს სურათები. თითო ღირს ხუთი მანეთი. რასაკვირველია, თქვენ უნდა შეიძინოთ ათი ცალი; სულ ცოტაა რაღაც ორმოცდა ათი მანეთის.

შევატყვე საქმე ცუდათ იყო.

— გამგე რომ გენახათ, შეიძლება მას ეყიდა! — ვუთხარი მე და გვერდზე მივიხედე.

— ამხანაგო გამგევ, რომელ ოთახში შეუშვა დრამწრე. — შემეკითხა სწორედ იმ დროს მიკრიკი.

— ჯანდაბას შენი თავი. — ჩავილაპარაკე, — შეუშვი რომელშიაც გინდა.

— როგორ! გამგეს თქვენ გეძახიან.. — მითხრა პორტფელიანმა.

უხერხულობა ვიგრძენი.

— რასაკვირველია მე მაგათი გამგე ვარ, მაგრამ თქვენი კი არა. თქვენ ხომ დილითაც მნახეთ და მეც გითხარით გამგე მე ვარ მეთქი, მაგრამ არ დაიჯერეთ. ის კარგად დამაკვირდა და რომ მიცნო უხერხულობა იგრძნო.

რა ბევრი გავაგრძელო, ილად გამოვედი: მხოლოდ ორი სურათი დავიტოვე. მეტის დამალება ველარ გავბედა.

პ. ობოლი.

## სადგური ვაზიანი

— კაცო, დიდი ახირებული ვინმე კი ყოფილა ეს ჩვენი ნაჩალნიკი, ვაი მაგის პატრონს, ტრანსპორტმა იკითხის, თორემ მაგას რა უჭირს, თუ სადმე პირუტყვი გადაჭრა მატარებელმა, აფთარი რო იყოს მაინც არ დაერიდება, გაატყავებს და ბარკალს ძუნწულით გააქანებს თავის სახლისაკენ.

— ვაი მაგისთანა ნაჩალიკი მთხოვოს „ტარტაროზ“-მა ან თუ არ ვაჩუქო, ძალით წამართვას.

ასე საუბრობდენ ამას წინეთ სად. ვაზიანის მუშები.

არტემიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი



— ვიდევ მას ეარშიყება მარო. ის ვი არ იცის, რომ წმენდაში მოჰყვა და ეხლა უადგილოდ დადის!



— კარგ დროზე შემხვდი, შენთან მოვდიოდი. გაწმენდაში მომაყოლეს და შენთან უნდა მომაწყო!
— რას ამბობ, კაცო! მე ეხლა შენ-თან მოვდიოდი ამავე საქმეზე!




სამსახურში წავიდე, რესტორანში თუ იმ ქალს გავყვე?




— როგორაა, ნიკო, ქვეყნის საქმე?
— როგორ იქნება?.. ბრუნავს...
— აჰაა, მეც ამიტომ შემაწერეს საბრუნავ თანხაზე

## ჩვენი ნადირობა

### გურული სცენა

ჯერე ხომ ამ გვალვამ გადაბუგა და გადაახმო ყორიფელი მერე და ამევიდა სიმინდი ტაროში და მეიკვირტა ლობიე, თვარა შემომეჩვიენ მაჩვები და კურდღლები და სულ გამინადგურეს ჩემი სიმწრის ოფლით ნათოხნი ყანა. ერთ დღეს ტყემალს ვრეკავ,— ვხედავ მორბის ტყიდან ჩემი უნცროსის უფროსის უნცროსი ბიჭი ნიხაკიე და ყვირის: არიქა, ბაბა ყანა შეუჭამია მაჩვებსო.

იმ მინუტში ვწკვირტე ტყემლიდან ძირს. გავტენე ჩემი ფილთა პირამდი. გადოუკიჟინე კვიროსიას, ბიკტორას, ვარლამას, მაკარიას, ყაისარას, ბეგლარიას და ალისტრახოს. შევახუხე ყველი კვიჭიჭეს და ტყემლის ოტკით და გამოუყჳევით ტყისაკენ. გზაში სულ ჭკუიან-ჭკუიან პლანებს ვაწყობდი და ბიჭებს ვაგონებდი, რომ ერთი მეორე არ დეეხოცენ. მივედი თვარა ყანაში, გავწკაპე ყველე სალდათებივით ისე, რომ კურდღლის კიკოც კი ვერ გაგვასწრებდა ყანიდან.

დღე და ღამემ იყარა კიდევაც, გევიხივე და შეიქნა ფშვიტინ ფშვიტინი, წრუპუნ-წრუპუნი, კრუხუნ-კრუხუნი, ამას მოყვა იმფერი ზალპი. დაბოლოს შეიქნა ჭიყინი, ღორების ჭყვირილი და ყაისარეს კივილი. თურმე ამ ალიანქოთის დროს ატკენია ყაისარას მუცელი (იმ დღეს ჭყინტი ლობიე ეჭამა) დაგორებულა თავდაღმართში, ბიკტორს უფიქრია აგია მაჩვი მოგონგლავს ხოხვითო და ქეუბეთქებია თეძოში ყელმდი გატენილი ცენტრალკა. დავადევით საწყალი ყაისარე თხემლეს ნეშოდან გაკეთებულ საკაცეზე და ჩამოვათრიეთ სახლში, მეორე დღეს ყველას სუდში გვატიკვიცენ თავი და აწი რას გვიზამენ, ვინ იცის.

ძნელოღლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერიკის რჩევით გერმანიაში ერთდება ორი უძლიერესი ბანკი, რომლებსაც აქვთ 4.300 მილიონი მარკა (გაზეთებიდან)

# გამოგონება

— უნდა დამეთანხმო, რომ...

— ვერ დაგეთანხმები; ჩან-კაი-შის ბედი გადაწყვეტილია.

— ნინო, უნდა დამეთანხმო—მეთქი.

ვასო ისე გაცხარა კამათმა, რომ ნინოს მკლავში ხელი ჩასჭიდა, თითქმის ამით შეიძლებოდა მოკამათის დაჯერება.

— გაუშვით ქალს ხელი!

ყველა შეკრთა. ხმა უცნობი და ძალზე ბღელვებული იყო. მოკამათენიც მობრუნდენ. შუა ოთახში იდგა უცნობი ახალგაზრდა. მკრთალი, მაგრამ ენერგიული გამომეტყველება სახისა ამტკიცებდა, რომ ახლად მოსული იყო უბრალო მომაკვდავი. (ყოველ შემთხვევაში დიდი ორიგინალი იყო). სიჩუმე ისევ ახლად მოსულმა დაარღვია.

— უკაცრავად, — მიმართა ვასოს და ნინოზე უჩვენა. — ჩემი ცოლი მეგონა.

ყველას სიცილი შესკდა. — ახლად მოსული სიცილმა შეაკრთო. ეტყობოდა, რომ სიცილს არ ელოდა.

— როგორ? ცოლს ასე უადგილო ადგილს ეძებთ!

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ დიდათ იჭვიანი ვარ.

ამ სიტყვებით უცნობი დაჯდა სავარძელში, გააბოლა პაპიროსი და თავი იგრძნო, ისე, როგორც საკუთარ ოჯახში, ორიოდე გაბოლების შემდეგ შიმოავლო თვალი იქ მყოფთ და დამშვიდებით მიმართა ვასოს.

— კიდევ კარგი, რომ თქვენ ჩემ ცოლთან არ შეგესწარით, თორემ საშინელი ტრაგედია დატრიალდებოდა.

— განა შეიარაღებული ხართ?

— რასაკვირველია.

ამ სიტყვებით უცნობმა ამოიღო უკანა ჯიბიდან რევოლვერი. იგი აღმოჩნდა საბავშო დამბაჩა, რომელიც პროპკის ვაზნით იყო გატენილი. ვასოს გულიანად გაეცინა.

— ამით მიპირებდით მოკვლას?

— არც მიფიქრია თქვენი მოკვლა. თქვენ რა დამნაშავე ხართ? ცოლია დამნაშავე. ვერასოდეს ქალი ვერ უღალატებს ქმარს, ისე თუ თვითონ არ მოინდომა. ქალი აცდენს კაცს და არა პირიქით.

— თქვენი პრობკის ვაზნა ვერც ქალს ავნებს რამეს.

— პირიქით, უებარი საშუალებაა. დამიგდეთ ყური.

ყველა დაინტერესდა. უცნობი კი განაგრძობდა სერიოზული ტონით.

— ჩემი გამოგონება აგებულია გარდამავალ ხანის ადამიანის პსიქოლოგიის შესწავლაზე. ეხლა ადამიანი უთუოდ ნერვებ აშლილია, განსაკუთრებით ქალი. თუ ქალი ქმარს ღალატობს, აშკარაა ეს საყვარელი ძლიერ უყვარს. ეხლა წარმოიდგინეთ სურათი. მოღალატე ცოლი თავის სატრფოს ეალერსება. ერთის მხრით გრძნობს ბედნიერებას, ხოლო მეორე მხრით — შიშს. ამ დროს მე წავადექ თავზე.

— ხელები ზევით!

ორივე შეშინებულია. ქალს თავი ავიწყდება, სატრფოს ეშინია. მე ვიღებ ჩემს პრობკიან დამბაჩას, რომელსაც ასეთ აღელვების დროს ყველა რევოლვერად მიიღებს, ვუმიზნებ არა ქალს (მიაქციეთ ყურადღება), არამედ სატრფოს.

გავარდა.

კაცი გრძნობს, რომ ტყვია (ე.ი. პრობკა) მოხვდა. ინსტიქტიურად ხელს იტაცებს ნატყვიარზე. მკვლელობის ილიუზია არის). ქალის თვალწინ იშლება საშინელი სინამდვილე: სატრფო მოკლეს, ქმარიც დაჰკარგა, არც საყვარელი, არც საცხოვრებელი წყარო... თან დამბაჩის ხმაც მოქმედებს. ქალის ნერვები ვერ იტანს, გული სკდება და ქალი კვდება.

ამრიგად მე განვთავისუფლდი მოღალატე ცოლისაგან. აქ უმთავრესი ის არის, რომ პასუხსაც ვერავინ მომთხოვს, რადგან მე ვიხუმრე პროპკის დამბაჩით.

— თუ გული არ გასკდა? — ჩაურთო ნინომ.

უცნობმა გაკვირვებით შეხედა მას.

— პასუხს მაინც აგებ. დაუმატა იურისკონსულტმა, — პირდაპირ არა, მაგრამ მაინც თქვენ იქნებით სიკვდილის მიზეზი. 5 წლის პატიმრობა ხელთ გეჭიროსთ.

უცნობი სრულიად დაიბნა.

— მაშ როგორ მოვიქცე? — იკითხა მან.

— გაეყარეთ — ურჩია იურისკონსულტმა.

— გავეყარო! როგორ ვერ მოვიფიქრე! რამდენი დრო დავკარგე ამ გამოგონებაზე! — უცნობი უცბად წამოხტა.

— მივდივარ, პირდაპირ სასამართლოში... გავეყრები! — მხოლოდ ეს დაიძახა კარებში.

„პროპკიანი დამბაჩა“ მაგიდაზე დარჩა.

გრი—გრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალმასკომის წინ

**ჩოხატაური**




## „იავ-ნანა“

**(სენაკი)**

იავ-ნანა, ვაროდვ ნანა, იავ ნანინაო,
ჩვენო სკოლავ, დაჩაგრულო, რამ დაგაძინაო.
უკარო ხარ და უფანჯრო, იავ ნანინაო,
ფერდზე, სკოლავ, დაჩაგრულო, რამ დაგაწვინაო.
ვერ სძლო შენი შეკეთება ვერც ალმასკომმაო.
ახალი სამოსწავლო წელი კარზე მოგადგაო.
შენ კი ისევ უფანჯრო ხარ, იავ ნანინაო,
გვიშველეთ და შეაკეთეთ შვიდწლედის ბინაო.
ალმასკომო, გაიღვიძე, ძილი გეყოფაო,
ამდენი ტანჯვა – წვალება, ვგონებ, გვეყოფაო.
შეგვიკეთე ეს ტანჯული შვიდწლედის ბინაო,
სკოლავ, ყოვლად ღარიბი ხარ, შენც ჩემისთანაო.

**მიხ. ველისპირელი.**



— ერთი გირვანქა მარილი და ამოდენა ქაღალდი?!
— რა გაჯავრებს! ქაღალდი მარილზე მეტი ღირს?

## ხონი

ჯერ მივმართავ „ეპო“-ს ფურნეს,
სადაც ცხვება ცომი პური
„ტარტაროზ“-ო შენ გვიხსენი,
აუწიე იმათ ყური.
შიგნით პურსა ვერ იშოვი,
თუ არ გიცნობს, კოლა გამგე,
„ტარტაროზ“-ო გევედრები
შენი რისხვა მასაც არგე.
ეხლა „ზაკტპო“-ს აგიწერავ,
„ტარტაროზ“ ო, რკინის გზისას,
გამგედ ვიღაც რაინდი გვყავს,
ველარ ვიტყვი ქებას მისას.
შიგ ბილეთსა ვერ იშოვი,
არც კარს გვიღებს თავის დროზე,
„ავტო“ წასვლას რომ აპირებს, —
მაშინ მიდის პამიდორზე.

**დ. ხონელი.**

## ქუთაისი

ქალაქის სადგურში
მსახურებს მდივანი,
თქვენ თუ მიხვდებით,
ეხლა ის ვინ არის.
ყოფილი თავადი,
დღეს სოფლის კულაკი,
პროტექციის კაცია,
არც ისე დურაკი.
სამსახურში ფლიდი
და ენა ლაქუცი,
იგინება მუდამ,
ვით ქუჩის ტუტუცი.

**ხლისტი,**

## ვანი

ვანში არის გლეხის კერა,
გლეხკომად სახელდებული,
მაგრამ გლეხებს ვერ უშველა,
არის შტატ-შედიდებული.
მასვე ახლავს ერთი შკოლა,
ქრა-კერვის და გასართობის,
ოცდა ჩვიდმეტ მოწაფეში
დილ-დილობით შვიდი მოდის.
დამზღვევ პუნქტი ნადირაძე,
ვერ გავიგე, რა კაცია,
გირჩევთ მისგან შეისწავლოთ
რაციონალიზაცია!
სარეწკოპი ტყავს ამზადებს,
აილესა სადგისები,
წულა იმდენი ფასდება,
გლეხი ვარ და, სად მივწვდები?!.

**„ვანელი ბზიკი“.**

## უბილეთო მგზავრების წინააღმდეგ

— მატარებელი რატომ წავიდა უზაროდ?

— უბილეთო მგზავრებს გაეპარა!



## წალვერის წიაღში

(წერილი [illegible])

ო, წალვერო. წალვერო!—
ბევრჯერ მსმენია ქება...
(ხან თუ მტვერი გვალრჩობდა.
ხან კი პაპანაქება!..)
სიცხეს ვერ გაუძელი —
თავი ვკარი ნაძვნებში...
(იქ კი ჩემ „ცოლს" წავაწყდი
ვილაც ბიჭის მკლავებში!)
თუმც ყველგან ვტრაბახობდი—
„ჟენა" მყავს-თქო საქები...
(მან კი სხვაზე გამცვალა —
გამომაბა მეც რქები!).
„პარკის" ზემოდ მჟავე წყალს
სწუწნიან წვრილი მილით;
(გიცნობს ქალი თუ არა,
თვალს ჩაგიკრავს ღიმილით.).
წყაროზე „ოჩერედი" —
ვგონებ კარგა სიგძეა.
(ეჰ, რამდენს გეყოლებათ,
თქვენ, იქ უცხო „სიძეა"!)
წალვერს კულტმუშაობა—
რაღაც არ ეხერხება...
(ეს კეჩხობის „დომ-ოტდიხს",
ვფიცავ, რომ არ ეხება!).
დასასვენებელ სახლებთა
მინდა გამგე ვამხილო,
(ეს გახლავთ კულტმუშაკი
სალიაშვილი ილო-).
ყველას თავს დასტრიალებს —
დღე-ღამე არ ისვენებს...
(მან რა ქნას: ნუნუათი
ბევრი თუ ყელს ისველებს!).
მის კამენდანტს თურმე აქ
უყვარს ნათლი - მამობა...
(მოკეთეების მუქთად,
ამ სახლებში „წამლობა"!).
წალვერო, ჰე, წალვერო —
მინდა სიძვირით გაქო...
(რა ვქნა ყოველ ნაბიჯზე
თუ არის სადალაქო!).
თუ წვერს ვერ გაგპარსავენ
ჩამოგაცლიან ყბასა!
(სამართებელი ხელთ აქვს —
ვერ ჰკადრებ ძვირის თქმასა!).
ასე ჩემო წალვერო —
აღარა მსურს აქ დგომა...
(უკვე ბარგს ვკვრავ, მშვიდობით—
თავს მადგა შემოდგომა!)

**ტარზან.**

## ჟაკტი № 57

— ამხანაგებო! მე ვარ გიორგი კაცაბაძე № 57 ჟაკტის თავმჯდომარე. რა ვუყოთ მერე, თუ საქმიანობას მოკლებულმა გამგეობამ მე ამირჩია თავ-რედ და არა სხვა. ეს მიტომ, რომ მე მეტად დახელოვნებული ვარ საზოგადო საქმეების აფორიაქებაში და სახალხო ქონების განიავებაში.

მართალია, სარევიზიო კომისიის ოქმი № 8 ჩემზე ლაპარაკობს: — ღლიდან არსებობისა „გაუიმასქნია" 8,923 მან.59 კაპ. და საბუთები ქაოტიურ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს არაფერია.

ამბობენ, რომ სალაროს ემჩნევა სრული უპატრონობა. პირიქით, იმას ცარგა ხანია რაც დავეპატრონე. რა ვუყოთ მერე. სალაროს წიგნში, ისე შემოსავალ-გასავლის ორდერებში და ყველგან კვიტანციებში შეხვდებით სისტემატიურად გადაკეთებულ და გადმოკეთებულ, რეზინებით ციფრებს, როგორც შავი მელნით, ისე წითელი მელნითაც. რა ვუყოთ მერე, თუ არც შესწორებები არ არის შემოწმებული კანონიერად. საერთოდ, გადასწორება — ეს ჩვენი ძირითადი პროფესიააა.

რაც შეეხება იმას, რომ ხეირიანად ვერ არის გადასწორებული, ეს პრაქტიკის ბრალია. გამოვეჩვევი და შემდეგ კარგად გადავასწორებ.

რა ვუყოთ მერე, თუ კერძო ბაზრიდან შეძენილ საქონელში ფული ზედმეტი დაიხარჯა. სამაგიეროდ რიგს გარეშე ვყიდულობდით.

რა? რემონტიო?.. მე, ამხანაგებო, გითხარათ სიმართლე, ერთხელაც არ მომსვლია თავში აზრად, რომ შემეკეთებინა რომელიმე დაზიანებული ბინები მუშებისათვის.

რაო? რათ შევაკეთე მაგისტრალის ქ. № 1 მდებარე სახლი? ეს, ამხანაგებო, ჩემი ბინა გახლდათ და არა სხვისი.

რაო? რუსთაველის ქ. № 6, საფუძვლიანად შევაკეთე? ეს რა ვუყოთ, მერე. ჩემი ძმის იყო და ხომ იცით ქართული ანდაზა: „ძმა ძმისთვის-შავი დღისთვისო".

ასეთ წვრილმანებზე თუ მალაპარაკებთ, ამათ ჩამოთვლას, რაც მე ასეთები ჩამიდენია, ერთ თვეს ვერ მოვრჩები: ჯერჯერობით ეს იკმარეთ და დანარჩენი შემდეგ.

**დონ-კიხოტი.**

## თბილ ბუდეში

(ქ. დუშეთი)

აქ ამბები ბევრი ხდება
გასაკვირი-გასაოცი
ბოროტება - თაღლითობა
დაითვლება ას-სამოცი.
სახელგამში უდარდელად
აქ მსახურობს ვაჟრის ქალი,
რადგან მრავალს გაუჩინა
სიყვარულის ცეცხლის ალი.
რა ვუყოთ, რომ მდიდრათ ცხოვრობს
ხმა აქვს მამას წართმეული.
მას ძალიან ტკბილი ხმა აქვს,
ხელს რას უშლის გარეული.

**ინდო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება

**ნუ იკითხავ-ს** (ჩოხატაური). რა თქმა უნდა—კარტისა და კამათლის თამაში დაუშვებელია, მაგრამ უფრო დაუშვებელია ლექსის წერის თამაში. თქვენ გინდათ—ექვთიმე! დასცინოთ, მაგრამ, დაგვიჯერეთ, ეს ლექსი რომ დაგვებეჭდა, ექვთიმე თქვენ დაგცინებდა.

**ჯუკას** (ვასანაური) თუ კი ტარტაროზის ჩანგლის წვერი საქმეს გამოასწორებს, ჰა, მიირთვით, და, წვერი კი არა, თვით ჩანგალი უთავაზეთ სავსებით.

> ყველა სკოლას ბინა უნდა
> ხალხიც არის ამის მდომი.
> ტარტაროზო, ჩანგლის წვერით
> გაგვილვიძე ალმასკომი.

**შახს** (კულაში). ყოფილ ალმასკომის თავმჯდომარეზე გვწერთ, რომ:

> ვერ უშველა უფროსობამ:
> სხვაგან მისცეს ბინაო,
> გამსახლში მიაცუნცულეს,
> აქ არის შენი შინაო.

ჰაშ, რა გგონიათ! ყველას და ყველაფერს შესაფერისი ადგილი მიეჩინება. თქვენ წერილსაც მიუჩინეთ თავისი ადგილი.

**დ. გოჩაკიშვილს** (გოჭოურის კორდი). ალბად მესხს სჯერა, რომ „შიში შექმნის სიყვარულსა"-ო და, სწორედ ამიტომ:

> ის ქალებში ტრიალებს
> წელზე დიდი ნაგანით,
> და ქეიფობს დილამდე
> გოჭოურზე არღანით.

დააცადეთ! ცოტაალა დარჩენია, გამოსათავია.

**დესიკოს.** გულახდილი კი ყოფილხართ (ესეც კარგი საქმეა), რომ თვითონ აღიარებთ:

> არ ვარ შარადის მწერალი
> და არც მიცდია არასდროს,
> დღეს კი ავიღე კალამი
> რადგან ვიშოვე ამის დრო.

რა ეშმაკი შეგიჩნდათ და შეგაცდინათ— შარადა დაგეწერათ!

**უსინდისოს.** გულახდილობა და თავისთავზე სიმართლის თქმა (იხ. თქვენი ფსევდონიმი) კარგია. თუ მომავალში კარგი წერილი დასწეროთ, სხვა ფსევდონიმი მოაწერეთ, თორემ ამ ფსევდონიმით მაინც არ დავბეჭდავთ, რადგან ტარტაროზი ყველა უსინდისოს ებრძვის, თუ გინდ თავისი თანამშრომელი იყოს.

**ალექსი ჭავჭავაძეს** (ბუკის-ციხე). სასამართლოს მიმართეთ.

**ქვემეხს** (ქოლობანი, სენაკის მაზრა). გაგვაგებინეთ კარგათ—ეს თქვენი ლექსი:

> ამბობდა თავმჯდომარეო:
> — არ მომივიდა ძილია.
> შუბლაძის ქალსა მიუხდი,
> მსურდა გამეკრა კბილია, ვის

ენება რომელ და რის თავმჯდომარეს?

**კამპიოს** (ბათომი). მე-2-ე შრომის სკოლის მასწავ. ალექსანდრეზე გვატყობინებთ, რომ ცუდათ იქცევაო. მაგრამ...

> მაგრამ ალეს ყურადღებას
> აქ არ აქცევს არავინო.
> მოწაფეთა ჩაჭრა უყვარს,
> და უფრო კი—არაყ-ღვინო.

შესაძლებელია, ყველაფერი ეს რული ჭეშმარიტებაა, მაგრამ, რატომღაც, ჩვენ ეჭვი გვებადება და გვგონია, რომ თქვენ ჩაჭრილი ხართ მის გამოცდებში და ამიტომაც ლაპარაკობთ მასზე, (შეიძლება, სიმართლეს).

**ტარკოჩს** (ახალდაბა, ბორჯ. რაიონი) ექიმ მათიაშვილზე გვწერეთ, რომ

> ყველგან დადის სააშიკოდ
> კაცი ვერც კი ათავდება.
> ავათმყოფთან მაშინ მივა,
> როცა კაცი გათავდება.

ნეტავი რისთვის? რომ შეამოწმოს ავათმყოფის გარდაცვალება?!

**ეფუ-მათეს** (ოზურგეთი) ნაადრევია სიცივეზე თქვენი ლექსი.

ვათავსებთ:

> დამთვრალა კაცი კახური ღვინით
> მივიდა სახლში, ცემა ლადიკოს.
> იროდიონი კაცი დიდი,
> მასწავლებელი მაინც არ იყოს.

ლადიკოს გვერდებმა იკითხოს, თორემ ჩვენ რა გვენაღვლება.

შემდეგ:

> არ იძლევიან უწიგნოთ შაქარს,
> დავწერო მინდა ამაზე ლექსი
> თუ ქრისტეფორემ არ მოგცა ჩეკი,
> მაშინ მიგიწერს ჩვენი ალექსი.

ეს ამბავი ვერ იქნა ალექსისთვის შაქარსავით ტკბილი, მაგრამ რა გაეწყობოდა. (აი, როდის არის შაქარი მწარე).

**კენზურის** (მათხოჯი) ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება, მაგრამ წითელ სასადილოზე მაინც ვათავსებთ, რომ:

> გლეხები შიგნით შესული
> გამოდის ყველა მთვრალიო.
> ჩხუბი და აყალ-მაყალი...
> ყველა ვართ მასზე მწყრალიო.

თუ ყველაფერი ეს გამგის ბრალია, რას შვრება ალმასკომი?

—

**გურულს** (შომანაური ოზურგ. მაზრ.) რას ერჩით თუ ქალმა (ზინობი (?) ბარამიძე) ამდენი „გმირობა" ჩაიდინა:

> სცემა ქმარსა და გერებსა,
> სისხლი ადინა ყველასა.
> საბჭოში დასცხო ვალოდის,
> ითხოვდა კაცი შველასა,
> მათზე რომ გული იჯერა,
> მეზობლებს დასცხო თავშია;
> ასე გალახა თორმეტი,
> როგორც პატარა ბავშია.

თქვენ გგონიათ ამ მხილებას ზინობის სასირცხოთ მიიღებს? პირიქით,—სიამაყედ. მოსალოდნელია, ამის შემდეგ კიდევ უფრო გაგულისდეს.

მალე აიკლოს სოფელი.

**ი. გ. რატ-ნის** (ბათომი). ალიოშა მიქატაძეს სწერთ, რომ

> ხრიკებით, „მოხე-მწერლობით"
> მუშებს დასტყუვა ფულია.
> რას ვიზამთ, როცა „დიდ-კაცთან"
> კუდი-კუდ გადამბულია.

ამ ნაკლის გამოსწორება სულ ადვილი საქმეა! საჭიროა ერთერთი მათგანის კუდის გადაჭრა, რომ ერთმანეთს ჩამოშორდენ და ალიოშა თავის ტყავში დაეტიოს.

რაც შეეხება იმას, რომ:

> ქუთაისში როცა იყო,
> კბილი გაჰკრა ფოსტის ფულებს;
> იქაც თავის „დიდ-კაცებთან"
> მიირთმევდა მოხრაკულებს.

ფონი გასავალს დალოცოს. მოხრაკულების ჭამის შემდეგ, შესაძლებელია, მარხვა დაუდგეს.

მთავლ. № 1473 პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.

# ქართულ დივიზიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

